

572
1989/2



1989 აპრილი №4

ბავშვა

გაუპარჯოს სპარტელოს

გრიგოლ ჯალაღია

დეკუბივით დგანან შთები,
მთებსე თუთრი ნისლია,
ეკითხება ქარი ფოთოლს:

— ეს ქვეყანა ვისია?

— ვისია და,
ვინც ამშვენებს,
ვინც აუვაუვებს,
მისია,

ის, ვინც

გულით ქართველია
ხორციან და სისხლიან.

— მამ ქართველმა იქართველოს
ამ მთებით და
ამ ველებით.

შურის თვალი აამოროს
ჩამკლელის და
ამკლელის.

ასახლენი უნდა ასდეს,

უნდა ითქვას

სათქმელი,

გაუპარჯოს სპარტელოს

ქართულით და

ქართველით!

ვლადიმერ ლენინს



სუბა გარუღავა

დსსაბამიდან ამჟღავნად სდება:

ადამიანი როდესაც კვდება,
ორი თარიღი დარჩება საუფლავს:
ერთი აღნიშნავს მის დაბადებას,
მეორე — მისი სიკვდილის ამბავს.

დსსაბამიდან ამჟღავნად სდება.

შენ კი... სიცოცხლის დიად თვეებზედ
ერთი თარიღი გარგუნა ბედმა,
რადგან სიკვდილი

შენს დაბადებას
გვერდით დადგომას ვერ გუბუბდავს!



1903x

მატყვარი ვიორგი როინიშვილი

საქ. სსრ კ. შავკისის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

დათუნია დრუნა გლარის

გივი ჭიჭინაძე

დრუნა მღერის:
— აბლი-ბაბლი!
ანრილი ღვას,
მარტი ვარბის...
და მაინც
კართან მოდგა,
მონატული
ნაზი კაბით.
— უვა! რას ამბობს?! —
შეცბა უვავი,
თან ნისკარტით
ნის ტოტს წხანის.
— დათუნია მართალია! —
ჩაეცინა გულში ანრილს, —
ივრნო უკვე, მთა და ბარად
ვარდის სურნელი რომ დაქრის.



საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ნაგვილი ქართული

გიორგი წარათული

შენს ცეცხლს
რა ჩაქრობს, აშირან!
თუ გიუვარს
ამ ქვეყნად საში რამ:
სამშობლო,
მშობელი,
აღმსრღელი...
გუნთება
კერა და კანდელი,
გურქმევა
ნამდვილი ქართველი.



შატავარი თაბაზ ხატიშვილი

გურამ პატრიკაშვილი

ჯერ აილაჩუჩლაზე ვიტყვით.

ხომ მიხვდით, რანაირიც იქნებოდა. ერთ-თავად აჩაჩულ-ჩამოჩაჩული დადიოდა, დი-ლეები შეუკრავი რჩებოდა და ფეხსაცმლის ზონარი მიწაზე დასთრევდა. წვერს არ იპარ-სავდა, ხეღ-პირს არ იბანდა და ის აჩაჩულ-ჩამოჩაჩული ტანსაცმელიც სულ გაჭკუჭკუული პქონდა.

კაი უუმშურიც გახლდათ. იმის მაგიერ, რომ თავისი სიზარმაცე ეტირა, ხალხზე ბრაზობ-და, არავის ესალმებოდა და ონაფარი ბავშვე-ბი რომ გაასვლებდნენ, აჩაჩულ-ჩაჩაჩულს, უკან მისდევდა ყვირილით: ყურებს დაგაგ-ლეჯთ მე თქვენათ.

სულ სხვა კაცი იყო აფლაფატო.

ხალხი ძალიან უყვარდა.



ყოველ საღამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, იჯდა ხოლმე ქალაქის ბაღში მუდამ სუფთად გაპარსული და ფრჩხილებდაჭრილი. იჯდა და ლილინებდა. ეტყოდნენ, გამარჯო-ბა, აფლაფატო, და ისიც ლილილიან მზერას შეაგებებდა, გაგიმარჯოს, ჩემო კარგო.

აღბათ იმასაც მიხვდით, თუ რატომ ერ-ქვა ამ კაცს აფლაფატო.

აფლაფატოს ხომ ისეთ ტანსაცმელზე იტ-ყვიან, რომელიც ძალიან ხალვათად ადგას ტანზე ჩამცმულს.

პოდა, ამ ჩვენს აფლაფატოსაც სწორედ ასე, ხალათიც, შარვალიც და პალტოც თავისაზე რამდენიმე ზომით დიდი ეცვა. ქუდიც ისეთი დიდი ეჭურა, რომ უყანყალებდა თავ-ზე.

ერთი სიტყვით, ბაღის სკამზე მჯდომარე აფლაფატოს რომ შეხედავდი, მოგჩვენებო-და, ტანსაცმელშია ჩაკარგული და იქიდან ისმის მისი ლილინით.

ქარი უყვარდა ძალიან.





ძლიერი ქარი რომ დაუბერავდა, წამოდგებოდა და წავიდოდა ვეება ფეხსაცმელების ფრატუნით.

მიდიოდა ქუდზე ხელნაკიდებული და გაღიმებული:

მიდიოდა და ისევ ღიღინებდა:
პალტო მიყვარს აფლაფატო,
ქარში უნდა ვაფარფატო.

მართლაც უკან დიდი ფრთებოვით უფრიალებდა და უფარფატებდა პალტოს კალთები. რადგან ქალაქი პატარა იყო, ანლაჩუნლა და აფლაფატო ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ ქუჩაში.

— სალამი ძმაო, როგორა ხარო, — დაუძახებდა ხოლმე აფლაფატო.

— ვაღი შენო, — შეუღრენდა ანლაჩუნლა.

აფლაფატოს სწყინდა. როდისმე მიხვდებოდა თავის სისულელესო, — ფიქრობდა.

ხანდახან ვინმე შეეკითხებოდა აფლაფატოს, ვერე რატომ გაცვიაო.

— აბა, რა ვითხრათ, რაღაცა უნდა მოხდეს და იმას ველოდებიო. — იტყოდა აფლაფატო ღმილით.

— ანლაჩუნლაც რამეს ელოდებო?

— ალბათო, — უპასუხებდა აფლაფატო. ერთ დღეს ანლაჩუნლა ქალაქიდან გადა-

იკარგა.

წერილი დაეტოვებინა:

«მომეზრდა ყოველდღე ჩაცმა-გახდა: მივიდივარ უკაცრიელი და ცხელპავიანი კუნძულის საძებრად. იქ ვივლი ტიტლიკანა. ვერც ვერავინ მომთხოვს ფრჩხილების დაჭრას და, რაც მთავარია, იქ ეს ჩერჩუტი აფლაფატო არ იქნება, სულ რაღაცას რომ ელოდება და ღლიღინი არ ეზარება».

ამაზეც მხოლოდ გაიცინა აფლაფატომ და მეტი არაფერი.

გადიოდა დრო.

აფლაფატოს ეკითხებოდნენ. შენც ხომ არ აპირებ გაქცევასო.

— რას ამბობთ, ჩემს ქალაქს როგორ დაეტოვებ, ეგ რამ გაფიქრებინათო, — იღიმებოდა ნაღვლიანი.

აბა, აქედან სად წავიდოდა, როცა იცოდა, რომ ამ ქალაქის გადასარჩენად და გასათავისუფლებლად მის ყველა წინაპარს ბრძოლები ჰქონდა ხმლით ხელში გადატანილი. ბევრმა მათგანმა კი თავიც შესწირა ამას...

ღამით დიდხანს ვერ იძინებდა ხოლმე აფლაფატო. იჯდა თავის ოთახში და კედლებს შესცქეროდა, ხოლო კედლები წინაპართა სურათებით იყო სახვე. აქ იყო აფლაფატოს მამაც, პაპაც, პაპის მამაც და პაპის პაპაც...

ქალაქის ყველა ფანჯარა ჩაქრებოდა ხოლმე და აფლავატოს ფანჯრებშილა მონანდა შუქი.

შესცქეროდა აფლავატო სურათებს და ცდილობდა თვალი გაესწორებინა წინაპრებისათვის...

აი ასეთი კაცი იყო აფლავატო.

ერთ საღამოს, როცა ჩვენი აფლავატო კვლავ ბაღის სკამზე იჯდა, უცებ ხალხმა დაინახა, რომ ციდან რაღაც წამოვიდა ცეცხლოვანი და ფერად-ფერადი.

ყველას ძალიან შეეშინდა.

მხოლოდ აფლავატო იჯდა მშვიდად და დიმილით აპყურებდა ცას, თუმცა სწორედ მისკენ მოდიოდა ფერადი ცეცხლი...

დაფეთებული ხალხი გაიფანტა. ვინ სადარბაზოებს შეაფარა თავი, ვინ ხეებს და ბუჩქებს ამოეფარა, ვინ ადგილზე გაახევა შიშმა.

თვალდახუჭულები და ყურებზეხელებ-აფარებულები ელოდნენ მოქალაქენი საშინელ უბედურებას.

მაგრამ საშინელება არ მომხდარა.

... უცებ მათ სმენას მშვენიერი პანგები მისწვდა.

გახილეს თვალი და დაინახეს, რომ ჩვენს აფლავატოს ფერად-ფერადი და ცე-

ცხლოვანი ჩიტი ეჯდა მხარზე. თურმე მისი გალობა იყო ასე მშვენიერი, უსმენდნენ მოქალაქენი... მერე ჩიტმა შეწყვიტა გალობა, აფრინდა, დაუბრუნდა ზეცას.

მაშინ წამოდგა აფლავატო და გაოცდნენ მოქალაქენი.

მას აფლავატოდ აღარ ედგა ტანზე არც ხალათი, არც შარვალი, არც პალტო, და ქუდიც აღარ უყანვალეზდა თავზე. უცრად გაზრდილს და გამაღლებულს, ძვალგამსხვილებულსა და მხარბეჭტაგანთერებულს, ქუდი-ტანსაცმელ-ფეხსაცმელი სრულად ამოეფხო თავისი ძლიერი სხეულით.

— აი, ამას ველოდი, — უთხრა ხალხს აფლავატომ, — ეს ტანსაცმელი პაპანემისა და მამაჩემის ნაქონია, ისინი დიდები იყვნენ და მეც ამიტომ მქონდა იმედი, რომ როდისმე გავიზრდებოდი.

ასე დამთავრდა ეს ამბავი.

მე კი იმითომ ვამბვთ, რომ მინდა ვთხოვოთ: მოდიო, ძმებო, დაეკიდოთ ჩვენი ოთახის კედლებზე ჩვენს წინაპართა სურათები და ვეცადოთ, თვალი გავუსწოროთ მათ მხერას. ხომ ყველას გვინდა, რომ როდისმე ზეციდან ჩვენს მხარზეც ჩამოეშვას ფერად-ფერადი, ცეცხლოვანი ჩიტი?



ჯარჯი და ირაპი



მთარ მამურონი

II მოქმედება

მომხრობელი — ხასამართლო მიდის მოხერხებულ მკვლელის, ვინც გასწირა ღომი, ვეფხვი, დათვი, მკელი. შექორავულ სეაშუე მელა ძლიერ დღეღეს. ხასამართლო მიპყავს მოხუც სირაქლემას. გვერდით მსაჯულები აფხორილი სხეღან, კუ ვერაფერს ამბობს, ზღარბიც ვერას ბეღავს. მღივანია ციყვი და თავს აჯნატურებს, მელას ბედი წყღება, ის თხილს აჯნატურებს... სირაქლემა თორ დათვის — დამცველს სიტყვას აძღვეს.

მომხრონი — ხეღავთ, ბატონებო, მეღის ცოღვით ვეღვღები, გაუთუორდა კუდი და ძეღრფასი თმეღი. ვანა ევეღა მელა მელა არის მართლა? მინდა, ამ ზნელ საქმეს რომ აუხადო ფარდა. როგორ შეიძღება, ვვიქრობ დღე და დამე, რომ მეღიამ ცუღი ჩაიღისოს რამე. ის არ ერჩის არვის, ის არ არის მხვეღი, განთქმულია მისი დღეღული ბეწვი. სულ პატარა რადღაც ჩინია ხორცს ციციქნის, ქათმის დღეღლა, ჭამა კაცმაც კარგად იცის. და ვთხოუთ, ეს მიუბა ვადიადოს ვვერღხე. შე მოუთხოუთ ახალს და სხვა ჯიღის ექსპერტს!

მომხრობელი
ჯიღი — ბრალმღებელი ჯიქი წამიდგება ფეხსე. — თქვეღ ამბობთ, რომ არის აქ მკვღვღომის არ ჩანს? მამ ვთხოუთ ხასამართლოს, რომ დასტური მომცეს, მონადღრეს უხმეთ, ამ ამბავის მოწმეს!

მომხრობელი
სირაქლემა
ჯარჯი — ევითება ჯარჯის სირაქლემა დინჯი: — ამ საქმის შეხახებ, აბა, თქვეღ რა იციოთ? — მეღას ჩაგონებოთ ვახდა ღომის მსხვერღლი მუღამ უღალატო, მეღიდური ვეფხვი. მერე დღეღრიღ ღომის აღხასრულიც დღღვა, — ევეღში ევა მკელი, თავში დღეღრა დათეღმა. მეღამ ბოღოს მინც თავის მზღვერულ ხეღით მოწამღა და მერე მოკღა მოერაღი მკელი.

სირაქლემა — შეღ ეს ნახე თეღითონ, ახღა ევეღი ამბად? ეს სისხღის ღერა, როგორ, ნახე შეღი თეღლით და ამის შესახებ არ აცნობე არვის? — მეწმინოღა ღომის, მეწმინოღა მკელის და ამიტომ ვერსად ვერ ვთქვი ვერაფერი. მეწმინოღა ვეფხვის, მეწმინოღა დათვის, ენახვარღნიღმა არაფერი არ ვთქვი. ახღა წასულია საიქიოს ევეღა და მართლმსაჯულეღას გაუთოკეღს მეღა,



მეც არ შეშინია, ამოვიდგი ენა.

სირაქალმა

- მე ვუცხადებ პროცესს: შენ არა ხარ მოწმე.
დამნაშავე შენ ხარ, ვერაფერი გიხსნი!
პასუხს აგებ ახლა საკუთარი სისხლით!

მთხრობელი

- გულმოსული ჯიქიც აკრატუნებს კბილებს,
საბრალდებო სკამზე დასვეს მონადირე.

ჯარჯი

- ერთხელ მითხრა პაპამ, ახლაც კარვალ მახსოვს.
მხეცებს მაინც მხეცის სიმპატია აქვსო.

გელა

- ჩემზე შექმენ ჭორი, თვითონ კი ხარ მკვლელი.
სასამართლოს მე ვთხოვ მოსახლენი მოხდეს!
მხეცთა დაღუპვისთვის მონადირე მოკვდეს!
ჩვენი მოდგმის მტერი, მტერი არის თქვენიც!
პო, სულ დამეოწყდა, არის ირმის მკვლელიც.

სირაქალმა

- უური მივდეთ ახლა და განაჩენს ვიტყვი:
ბიჭს ტყეობა მიეცეთ, ციხე ცხრა მთას იქით,
რომ არასდროს ტყეთიან არ დადიოს ბინა.

მთხრობელი

მელას კი სიცოცხლე ჰქონდეს მისდა წილად.

სირაქალმა

- კუ და ზღარბი შეტბნენ, იორჭოფებს დიდხანს.

მთხრობელი

- მე ვარ მოსამართლე, მსაჯულებს ვინ ჰკითხავს?!

ჯარჯი

- თქვა და განაჩენზე მოაწერა ხელი.

ჯიძი

- მხეცი არ მომიკლავს, მე ვარ ირმის მკვლელი.

- მგას გაპატიებთ, მხეცის მოკვლას - ვერა.

თანაც ცილს რომ სწამებ ამ უცოდველ მელას!
- გაიხარა მელამ, წასვლაც დააპირა,
მგარამ ამ დროს ზეცამ რისხვით დაიგრგვინა,
დაიკლანა ელვა, ამოვარდა ქარი
და მიისხანე სახით ძირს დაეშვა დალი.

ღალი

- აქ რა ამბავია, ეს რა პროცესს მართებთ,
ბოროტს ამართლებთ და სასჯელს კი სდებთ მართალს.

მთხრობელი

- დაინახა დალი, ჩაუვარდა ენა
და ყველაზე ადრე გაიპარა მელა.

თეთრი ღაბივი

- მე აქ მომიწვიეს, ვით დამცველი, მაშინ,
და ნუ გამხვევთ ახლა ამ ნადირთა შარში.
როგორც მოველ, წავალ ყინულოვან ზღვაში.

სირაქალმა

- მე აქ რაღა მინდა, ამ გაუთლელ ხალხში!
მე არა ვარ მხეცი, მე კაცს როგორ დღევსჯი!

ფრცხვერი

- სანამდე არ მოგცხეთ, გზა მომეცი თოცხვერს,
გქონდეთ ჩემი შიში, გაწყდა თქვენი ჯიში!

ჯიძი

- გაიწიე იქით, ხომ იცი, ვარ ჯიქი,
არავის წინაშე მე ქედს არ მოვიხრი!

ხმბრა

- მე ვარ ჭრელი ხმბრა, ცხენი ვიყავ ადრე,
გაგაქროლებ, დალი, ჩემს ზურგს თუ იკადრებ!

ღალი

- გმადლობთ, მე ისედაც შემიძლია ფრენა,
მესმის მხეცთა ბრდღენივაც და ყვავილთა ენაც.

მთხრობელი

- ხმა გაისმა შორით, იღწევა ტოტები.

ღალი

- აქეთ, პაპა გიორგი, აქეთ, ჩემს ხმას მოჰყევი!

მთხრობელი

- შემოვარდა ტყეში პაპა თავის თოფით
და ცხოველთა შორის ატყდა დიდი შფოთი.

ფრცხვერი

- ეს ხომ ჯურხაიძეა, ჩვენი მტერი მარადის!



საქართველო
საბავშვო ჟურნალი

19031

მხატვარი ღალი ღოთთაძე

თავ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ჰ.ბ.ბ. — მშებო, აბა, გავიქცეთ, ტყეში არი დაღაბტი!
 მისხრობელი — მოიქნია თათი, გარბის თეთრი დათვი,
 გარბის სირაქლემა, ფოცხვერი და ჯიქი.
 კუ და ზღარბი დარჩნენ, მათთან ერთად—ციფვი.
 კუ — მე არავენ მერხის, არც მხეცი და არც კაცი.
 მისხრო — მე კი უკული მიმდის, წამიფხანეთ სიკაცით.
 ზღარბი — ეგ რა მოვდის, ციფვო, რად შეჰყარე წარბი,
 მე დავიცვო, აბა, რატომ მქვია ზღარბი!
 მისხრობელი — დაიჭექა თოფმა, გაანათა ვლვამ,
 მოათრია პაპამ გაქცეული მელა.
 იქვე ზებრამ ზიზლით თავში ჩაჰკრა წიხლი.
 დ.ა.ლი — სულ მზაკერობით დახოცა მელამ ყველა მხეცი,
 მოღალატე, ვერავი მხეცხაც, კაცხაც ერჩის,
 და სიკვდილი მისი გამიხარდა ძლიერ.
 ეს მოვლის ყველა ბოროტსა და ცბიერს!
 მისხრო — მე ხომ არას ვიშავებთ, ვიცო, მე არ დამიჭერთ.
 გინდათ გამსახურებით, საზამთროდ თხილს დავიგინებთ.
 კუ — ჯავშანი მაქვს მაგარი, ხნოვანებაც დელი მაქვს.
 შემასხედით, თუ გინდათ, შინ მშვიდობით მივიყვანით!
 ზღარბი — მე კი ხალხის სამსახურს სულ კეთილად მიხდიან.
 ზამთარ-ზაფხულ კვლები ტანზე არ გამიხდია.
 ვებრძვი ქვეწარმავლებს, მევენე ჭიადლებსა.
 უნებურად აღმოვჩნდი მე აქ, მხეცთა ზღუდესთან!
 დ.ა.ლი — შენ რას იტყვი, ზებრავ, რომ დამდგარხარ ძველად?
 ზმბრა — ტყეში ნუ დამტოვებ, მაფრიალებს ტანში.
 ამ მხეცებთან ყოფნას მიჯობს ზოოპარკში.
 დ.ა.ლი — ციფვო, კუვ და ზღარბო, საყვარელო ზებრავ!
 თქვენ არ გერჩით, კარგებო, სულ კეთილად იარეთ.
 მაგრამ მაინც უფრთხილდით ბოროტ დამიანებს!
 ჰ.არ.პ.ი — ირემს როგორ მოვკლავ, ცოცხალი ვარ მანამ.
 მე მივუტან თვითონ ჩემი ხელით ზღაბის.
 პაპა — შეილო, სთხოვე დალის, იქნებ შევიბრალოს.
 ჰ.არ.პ.ი — ნადირობის სიბრძნე, დმერთო და დმერთქალო,
 მაპატიე ცოდვა, ვთხოვ, რომ შემიბრალო!
 დ.ა.ლი — მაგას მე ვერ შევძლებ, კეითხოო ირმის დედას...
 ფურიერეო, სად ხარ, მოდი, მე ხომ მხედე!
 ფურიერეო — გხედე, როგორ არა, მეც ამ წუთში მოვალ!
 მისხრობელი — შემოვიდა ტყეში ირმის დედა ტანჯვით
 და მუხლებში უმაღ ჩაუყარდა ჯარჯი.
 ფურიერეო — ნადირობის დმერთო, შენ, კეთილო დელი,
 აპატიე ამ ბიჭს, თუცა მკვლელი არის...
 წამოდექი, შეილო, ვიცო, ცოდვა გტანჯავს,
 აწ გისურვებ კეთილ სწავლასა და გარჯას.
 ჩემგან შენდობილი ხარ, აწ მშვიდობით გველოს!
 დ.ა.ლი — გესმის? დედა გლოცავს, ბიჭო, ირმის მკვლელო!
 აწი მაინც იყავ ქვეყნის სასახელო!
 პაპა — მე დამაჯეთ, ღირსი ვარ, მონადირე მქვია
 ჩემი თოფისთვის კი ვედარ მომივლია!



ვინც შვილიშვილს თოფი მისცა სანადიროდ,
 ის ღირსია ზურგზე ბოლი აადინოს!
 — ო, ამ ტყეში აწი ცოდვა რომ არ მოხდეს,
 თქვენ ორთავეს ახლა ჩამოგართმევთ თოფებს!
 მთხრობელი — ჯარჯი და პაპა დადებენ თოფებს,
 ზედ დაასხდებიან მტრელები გუნდად.
 მტრელები — მშვიდობა იყოს ამ ქვეყნაზე,
 დედაბუნებას მშვიდობა უნდა!
 შპრობ. მბო — მშვიდობა ჰქონდეთ ირმებს და ბავშვებს!
 ჯარჯი და პაპა — მშვიდობა შრომას და აღლავ მარჯვენას!
 მტრელები — მშვიდობა იყოს სამშობლოს ცაზე!
 მკვლავი — მშვიდობა ხალხებს, მშვიდობა ფრინველთ!
 მარად ჰყვოდეს მიწა უდკად!
 მშვიდობა ჰქონდეთ სამარადისოდ!
 სიხარული და ბედნიერება!

დახასრული



თეგას წიგნიდან

თანავიზ ბუჩქიძე

ჩემი ბაბუა მწერალია.

— ის მოთხრობებს იფანებს.

მეც გამოვიფანე სამი მოთხრობა.

პირველი:

ბურთი.

ვითომ მე ბურთი ვარ. დავბრუნებ თანახ-
 ში და ყველაფერს ვეხლები. ბურთივით ვტიცი.
 ახლა დავიწუტე და იატაკზე დავეცი. ახლა
 ვაფიქსურ და კვლავ ავტიცი!

მეორე:

ლაპიკარგა.

ვითომ ქუჩაში დავიკარგე. სულ მარტო
 ვარ. შემეშინდა. დედა მეძებს და მეძახის:
 «თეგა! თეგა!» მართლა შემეშინდა და ავ-
 ტირდი.

ეს მოთხრობა ცუდია.

მესამე:

საჩუქარი.

ვითომ ჩემი დაბადების დღეა. საჩუქრე-
 ბი მომიტანეს. შემოავტორეს დიდი ავტომო-
 ბილი! ყვითელი ავტომობილი! ბორბლები
 წითელი აქვს! ბრწყინვალე ავტომობილი!
 ეს მოთხრობა ძალიან კარგია!



შატავარი ბესო ხიდაშელი

მონადირე გუ

გურამ კობახიძე

იცნო, არის მოწყვნილი,
მოთენთილი ბუ რაღა?
არ ასრულებს დილის ვარჯიშს,
ცხოვრობს ძველებურადა.

შენ, ზატარა მკითხველო,
მითხარ ერთი, მძურდა,
ხომ არაუინ გავინდებ
ძალაუნებურადა.



პონი

ერთ სანაღნე სანონს
მთხვეს ზატარა ზონი,
ვეუბნები — ხად მაქვს
სანონე სანონი,
მიკვირს, ზონი ფრუტუნა
რამ გამოანრუტუნა.



მეონება თვლა

ამბობს ერთი თობა:
მსურსო მსახიობობა.
უნდა სცენის მოწეობა,
უძლის უფართობობა.
ქირქილეუენ თობები:
თაუში ჰეავენო თოთფები.



ჭიდაობა კიუ-დო

ძოდით, გული ვის გერჩით,
გაძლილია ტატამი,
ატმის კურკა — წაბეუღს,
გამარჯუებუღს — ატამი;

მეტრქემ თუ გავობა,
დაიწუნე მსახობა.



მხატვარი გუსო ხილაშვილი



ამ მაღალი, გახრიოკებული მთის ფერ-
დობს მე-ლა შემოვრჩი.

უწინ არც ეს მთა იყო გახრიოკებული
და არც მე ვიყავი მარტოდმარტო. ჩემს
ირგვლივ ცადაზიდული ფიჭვები და რცხი-
ლები იდგნენ, შიგდაშიგ მუხა და თელაც
გვერია, უფრო ფიჭვები ვმრავლობდით.
აქედან ქვევით, ჩაბნელებული, ღრმა ხე-
ობა რომ მოჩანს, იმის პირამდე, ზამთარ-
ზაფხულს მწვანე გადაღდანებული ტყე
იწონებდა თავს. როცა ქარი ამოვარდებო-
და, ხეები ერთმანეთს ვაწყდებოდით, ხმელ
ტოტებს ლაწალუწი გაუდიოდა და ირგ-
ვლივ ისეთი ხმაური იდგა, ნადირ-ფრინ-
ველს გულები მჭონდათ დახეთქილი. ფუ-
ღუროში შემალული ციყვები და თრითი-
ნები გვეხვეწებოდნენ, გეთაყვათ, ძალიან
ნუ იზნიქებით, წელში არ გატყდეთ, ფა-
თერაკი არაფერი დაიმართოთ და სახლ-
კარი არ დაგვიტყიოთ, შვილების პატრო-
ნები ვართო.

მაგრამ ყველაფერი კეთილად მთავრ-
დებოდა.

ქარი ჩადგებოდა თუ არა, ჩვენც მივ-
ყუჩდებოდით.

ტყე კვლავ ივსებოდა ფრინველთა სა-
ამური შვილ-ხვილით. ციყვები და თრი-
თინები მხიარულად მოჰყვებოდნენ ტო-
ტიდან ტოტზე ხტომა-სირბილს, ძირს, ბა-
ლახებით გადაჩითულ ნოტიო მიწაზე, ჭერ
ტყის თავგები გამოძვრებოდნენ სოროე-
ბიდან, მერე ბუჩქებიდან კურდღლები
გამოცანცალდებოდნენ; ლხინის ღღე და-
უდგებოდათ ფრთახატულა პეპელებს,
კუტკალიებსა და ნემსიულაპიებს. საიდან-
ღაც გაჩნდებოდა მედიდურად მომავალი,
რქებგაბორჭგილი ირემი, გზადაგზა რცხი-
ლის ტოტებს ფოთლებს აცლიდა და აკ-
ნატუნებდა. მოვიდოდა ჩემთან, ზროზე ან
უბას შემაფხანდა, ან გვერდს, რქების სი-

მაგრეს განინჯავდა, თავდახრილი
გასალკლდევებული დიდხანს მჩხევრავდა
რქებით, მერე უცებ გაირინდებოდა, ყუ-
რებდაცქვეტილი რაღაც იღუმალ ხმებს
მოუსმენდა და შემკრთალი სწრაფად გა-
მეცლებოდა, სადღაც იკარგებოდა.

ლამაზი სანახავი გახლდათ ჩვენი ფერ-
დობი ნისლში. წამოვიდოდა ხეობიდან
ცივი, რძისფერი ჭანდი, დინჭად, აუჩქა-
რებლად შემოაწვებოდა ტყეს, შიგ ჩაეხ-
ვეოდა; გრილი, წვეთოვანი ცისა და მიწის
ამონასუნთქი ხეებს წიწვებსა და ფოთ-
ლებში გაგვიჭდებოდა; თუ წვიმაც წამო-
აყრიდა, უჰ, რა ხალისით ვბანაობდით!
ერთი მაგრად დავსველდებოდით, გავი-
ლუშებოდით, მერქანი დაგვიმძიმდებო-
და, უფრო ჩავმწვანდებოდით და ჩავმუქ-
დებოდით. ფერზე ფერი გვემატებოდა.

დაუბერავდა ნიავი და ჭანდიც აირეო-
და, ტყეს თავზე მოექცეოდა და მთის წვე-



რისაკენ გაუტევედა. მიდიოდა და ჩვენ მას ტოტების ქნევით ვემშვიდობებოდით, კიდევ გვესტუმრე, კიდევ ამოგვაკითხე ხეობიდანო, — ვეპატიებოდით.

ჯანლი ახლაც ამოდის ხეობიდან. უტყუო მთას ისე მარდად გადაუვლის, თითქოს აქ გაჩერებისა ეშინია. მარტო ერთ წამს შეუყოყმანდება ჩემთან, თავის ცივ ორთქლში გამხვევს, ნაზად მომეფერება და მეტყვის:

— დარჩი მარტო, შე საცოდავო? — და თან წვრილ წვეთებს ცრემლებივით დამაყრის.

წავა ჯანლი, გადავივლის მთას და ვრჩები ისევ მარტოდმარტო, ეული.

სად წახვედით, ხეებო, ამაყო ხარირემო, ციყვებო და ფრინველებო, რამ გაგაქრო, ტყე, რად გახრიოკდი, მთის ფერდობო, ახლა მე რომ შემოგარჩენივარ კენტად და ცრემლით მიწას ვისველებ?

თუმცა რას ვკითხულობ, ეს ფერდობი უგულლო აღამიანებმა აქციეს ხრიოკად. მოჰყვენ ხეობის მხრიდან ტყეს, მოჰყვენ და კაფეს მანამდე, სანამ მთლად სული არ ამოხადეს, სანამ არ გააქრეს მისი სახსენებელი.

ამ ფერდობს რამდენიმე ხე-ლა შემოვრჩით, ველარ მოგვწვდნენ თუ მივაღიწყდით მჭრელებს, არ ვიცო. გვეგონა, ხელს აღარავინ გვახლებდა, ისევ მოვმრავლდებოდით, მთა ისევ დაიფარებოდა ტყით. ვაი, რა მწარედ მოვტყუვდით.

ამ რამდენიმე წლის წინ, ქვევით, ვაკე ადგილი რომ მოჩანს, ფერმა ააშენეს. აქედან კარგად ვხედავ, მწყემსები ძროხებს რომ მიერეკებიან საძოვარზე. ახლა ის მწყემსები შემოგვიჩნდნენ ცულით, აუტეხეს ხათქახუთქი ჩემს და-ძმებს, კრიდნენ თითო-თითოდ და ფერმაში ცეცხლის დასანთებად მიათრევდნენ.

ამ ზამთარს ეს მთა თოვლმა უხვად დაფარა. ერთ ღამეს ფერდობს ზვავი მოსწყუდა და ხეობისაკენ გრუხუნით დაეშვა.



ზვავმა ფერმის სახურავი თან გაიყოლა. კიდევ კარგი, არც აღამიანები დაზარალდნენ და არც პირუტყვი. დილით მწყემსები გამოვიდნენ გარეთ, იუურებოდნენ აქეთ და უკვირდით, მთამ ზვავი არ იცოდა, რა მოუვიდაო. იმას კი აღარ ფიქრობდნენ, რომ ტყე აკავებდა თოვლს. რაც ტყე გაიკაფა, მთა მას შემდეგ გახდა ზვავიანი.

სამი კვირის წინ აქ ორად ორი ფიჭვი ვიდექით.

— მალე ჩვენც მოგვიღებენ ბოლოს, — მეტყუდა ნაღვლიანად ტანკენარა.

— ნუ გეშინია, იმ ზვავის მერე იქნებ მიხვდნენ აღამიანები, რომ მთას ტყე სკირდება, და ხელი აღარ გვახლონ.

ვართ ამ იმედთან ლაპარაკში და ვხედავთ, ფერდობზე ორი მწყემსი მოდის, ილიებში ცულეები ამოუჩრიათ და მომასლათობენ.

— მოდიან, — თქვა ტანკენარამ და

შიშით აცხცხვდა.

მეც ამიტანა კანკალმა. ვიცი, რომელი-მე ჩვენგანს მოედება ბოლო, და ვნატრობ, ჭერ მე მომპრან, რომ არ ვუყურო, როგორ წამოაქცევენ ტანკენარას.

კაცები მოვიდნენ, დასხდნენ ჩვენს დაბლა და პაპიროსი გააბოლეს.

— კიდევ კარგი, — ეუბნება ერთი მეორეს, — მალე ამოხვედი სოფლიდან, თორემ მარტოობით გული გასივდა, მუნჯივით ვიყავი, ხმის გამცემი არავინ მყავდა.

— ეე, ჩემო ძმაო, — ეუბნება მეორე, — ვანა არ ვიცი, რა ძნელია მარტოობა? მით უმეტეს, ამ ვერანა ადგილას, ძროხების ბლავილისა და ძაღლების ყუფის მეტი რომ არაფერი გვესმის.

ყურს ვუღებდით იმათ საუბარს და ორივეს ცრემლი გვდიოდა, ადამიანები სიმარტოოვებს უჩიოდნენ, ერთმანეთი ეცოდებოდათ და იმას აღარ ნაღვლობდნენ, რომ ჩვენ, ხეებსაც, გვენატრება ერთმანეთი და ისევე განვიცდით მარტოობას, როგორც თვითონ ადამიანები განიცდიან.

ბოლოს პაპიროსები გადაყარეს და ტანკენარას ქვემოდან ამოხედეს.

— მშვიდობით, — აშრიალდა ნაღვლიანად ტანკენარა და ტოტები გამომიწოდა. მეც შევავებე ტოტები. მთლად დავმუნჯდი, არ ვიცოდი, რით მენუგეშებინა. მის ძირზე უკვე ცულებს ხათქახუთქი გაუდიოდა. მსხვილი, თეთრი ნაფოტები აქეთ-იქით ცვიოდა.

ტანკენარა თრთოდა, კვნესოდა, მძიმე-

მძიმედ ეცლებოდა მისი ტოტები ჩემსას. მერე ქვეშით, ფერდობისაკენ გადახარა, გადაიწინა, ოღნავ შემოტრიალდა და უსულით წავიდა, ძირს დანარცხებულს, ტოტები შემოეღეწა.

ის უგულოები ისევ მიესივნენ ცულებით. დარჩენილი ტოტები შეასხიპეს. ღამაში წვერო, რომლითაც ცაბა და ქვეყანას შეპხაროდა ტანკენარა, შეაჭრეს. მორადქცეული ფერდობზე დააცურეს, ფერმის ეწოში მოკლემ-მოკლედ დაჭრეს და დაჩიბეს.

ვღავარ ახლა მარტოდმარტო ამ ხრიოკ, გავერანებულ მთის ფერდობზე. ხმის გამცემი და მანუგეშებელი აღარავინა მყავს. კიდევ კარგი, ან ნიავი გაითამაშებს ჩემს ტოტებში, ან ქარი მომეძალება და შემარხევს. ეგ არი და ეგ.

გუშინწინ ორი გულუკვითელა ჩიტი მოფრინდა ჩემთან. ალბათ, მოვეწონე, ერთ ტოტზე ბუდის გაკეთება დაიწყო. გამიხარდა, მაგრამ ცულიანი მწვემსები რომ მახსენდება, შიშის ურუანტელი მივლის. რა ვქნა, რანაირად მივახვედრო ჩიტები, რომ ჩემს ტოტებში ბუდის გაკეთება არ შეიძლება, ერთხელ მეც მომპრინა და ქვეშით ფერმასთან ჩამათრევენ. ჩიტებს ბუდე დაენგრევათ, ბარტყები დაეხიცებათ.

ვის გეყურებათ ჩემი, ვის შეგიძლიათ ჩემი ხმა მიაწვდინოთ ცულიან ადამიანებს. ნუ გამიმეტებენ მოსაპრელად, ნუ გამომასალმებენ სიცოცხლეს, ნუ დაუნგრევენ სახლ-კარს გულუკვითელა ჩიტებს.



სპორტის ნებისმიერ სახეობას აქვს ისტორია, საინტერესო და ღამაში წარსული, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაზე, ზნე-ჩვეულებებზე, მისი კულტურა, უოფასა და ფიზიკურ შესაძლებლობებზე. სპორტის ისტორია ერის ისტორიის ნაწილია და მისი ცოდნა საჭიროცაა და აუცილებელიც. მკითხველმა რომ უკეთ შეითვისოს ეს ცოდნა, ჩვენი სასაუბრო ნაწილ-ნაწილ დავუავით და სპორტის განსაკუთრებით პოპულარული სახეობანი ანბანის მიხედვით დავალაგეთ. ასე გამოიკვეთა თქვენთან საუბრის პირველი თემა:

ა კ რ ო ბ ა ტ ი კ ა

ნოდარ გუგუშვილი

რა არის აკრობატიკა?

აკრობატიკა ტანვარჯიშის ნაირსახეობაა, რომელიც სპორტსმენისავე მოითხოვს ძალას, სისწრაფეს, მოქნილობას, გამბედაობას და სწრაფი ორიენტაციის უნარს. ეს თვისებები, მეტ-ნაკლებად, სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლებს სჭირდებათ.

ვინ არის აკრობატი?

ენათმეცნიერი იტყვის: აკრობატი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს — „უეხის წვერებზე დავდივარ“.

ისტორიკოსი დაამატებს: აკრობატს ძველ ელინულ ათლეტს უწოდებენ. აკრობატის გამოსახულებას შეხვდებით ანტიკურ სამკაულებზე, თასებზე, სასმისებზე.

ხელოვნებათმცოდნისათვის აკრობატი, პირველ ყოვლისა, მსახიობია, რომელიც ძველი რომის ქუჩებში და მოედნებზე ხალხს ჯამბაზობით აოცებდა. ასეთი სახანაობა წინათ თბილისშიც ყოფილა გავრცელებული. თოგზე მოთამაშეს ჩვენში მუშაითს უწოდებდნენ.

აკრობატი თანამედროვე ცირკის ყველაზე სასურველი და დაფასებული ოსტატია.

სპორტის სპეციდლისტმა ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, იცის, მაგრამ აკრობატიკა მისთვის, უპირველეს ყოვლისა, ტანვარჯიშის ნაწილია — ოსტატურად შესრულებული ხტომებით, ყირით, ბრუნითა და ა. შ. სპორტული აკრობატიკა სწორედ ამიტომაა დაყოფილი ხტომებად, წყვილთა, შერეულ წყვილთა და ჯგუფურ ძალიანი ვარჯიშებად. სხვათა შორის, ადრე ბატუტზე ხტომაც აკრობატიკის ნაწილად ითვლებოდა, სანამ გაეიჯინებოდა მას და ცალკე სახეობად გამოცხადდებოდა. აკრობატიკას სპორტის სხვა სახეობებშიც იყენებდნენ დამხმარე ვარჯიშებად.

საქართველოში აკრობატიკა ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული. ახალგაზრდები აკრობატულ ელემენტებს კოლხეთის ქალაქე-



ბის გიმნასიონებში ეუფლებოდნენ. შუა საუკუნეებში აკრობატიკა აღზრდის სისტემის ნაწილი იყო და მეომართა მომზადების საუცხოო საშუალებად ითვლებოდა.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ცმირი—რანდი ფრიდონი ამბობს ქაჯეთის ციხის აღების წინ, აღმზრდელებმა პატარაობაშივე მასწავლეს მუშაითობა, „მახლ-ტუნგვებიან, მწვრთიდიანთ“, და დასძენს: „ასრე გაეიღო საბელსა, რომ თვალნი ვერ მომიკიდიან“.

1939 წელს აკრობატიკა სპორტის დამოუკიდებელ სახეობად გამოცხადდა. ამავე წლიდან ეწეობა საკავშირო ჩემპიონატები, რომლებშიაც, სულ თავიდან მოკიდებული, არაერთი გამარჯვება მოუპოვებიათ საქართველოს სპორტსმენებს.

ბოლო წლების შეჯიბრებებში დიდ წარმატებას აღწევენ ჩვენი რესპუბლიკის აკრობატიკალები, რომელთა შორის რამდენიმე მსოფლიო ჩემპიონი გვყავს.

მხატვარი მანანა შორილიაძე

ალაჯუნა

შოთა ხორაშელი

ის ბიჭია, ბლის კენწეროს
მარცვალს რომ არ ანარჩუნებს.

ვევლებს დადის, ამიტომაც
ემსიან ალაჯუნეს.

ისე შედის ბაღ-ბოსტანში,
ფოთოლსაც არ აფახუნებს.

უთენია წამოდგარი

უკვე შრომობს ალაჯუნე...

დაიეუნებს თანატოლებს

წვრილეისერებს, ბულარწულებს —


ვევლას ერთად აამღერებს

მხიარული ალაჯუნე...


...ბურთს თამაშობს — გვერდს აუვლის

ორ-სამ დამცველს, კალაჯულებს,

დაარტყამს და... ტყეიასავით



გოლი გაბეჭვს ალაჯუნეს.
რა სმენა აქვს — სად მიაგნებს
ჩიტუნიებს განაბულებს,
მაგრამ ბუდეს კი არ უშლის,
იცავს, ბიჭი ალაჯუნე.
იმიტინას შემოუბღვერს,
სოფლის ებედებს გაანუძებს.
თავის ქნევით ემუქრება
ბღენძიებს და ქალახუნებს...
არც ის უკვარს — ზოგიერთი
ტყუილებს რომ არაკუნებს...
თმის ბეწვს გაპოფს შუაზედა
მართლის მოქმელი ალაჯუნე...
ძმებდა თელის მშრომელ ბიჭებს,
მინდურად შვეში აღანძულებს,
რადგან თვითონ უკვარს შრომა
ალექსანდრეს — ალაჯუნეს...





დიდ ილიასთან

იოსებ იმედაშვილი — მწერალი და ლექსიკოგრაფი, უფროსი „თეატრი და ცხოვრების“ გამომცემელი — ერთხელ ილია ჭავჭავაძეს ეწვია და სთხოვა, უფლება მიეცა, მისი პოემები ლარიბთათვის იაფფასიან პატარა წიგნებად დაებეჭდა. ილია დიდად კმაყოფილი დარჩა: — კეთილი, ჩვენი მდაბიო ხალხისათვის სასარგებლო აზრი მოგვლიათ, მაგრამ ჩემი ნაწერების გამოცემის უფლება რომ მე არ მეკუთვნის!

— მაშ ვისა?

— „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ გამგეს.

— „ქართველთა ამხანაგობის“ გამგემ

— დიახ, ამხანაგობის გამგემ ჩემი ნაწერების გამოცემის უფლება სამოც თუმანად შეიძინა და, თუმცა სამოც თუმანში სამი კაპიკიც არ მოუცია, პირობას ვერ დავარღვევ.

— თქვენ რათა? პირობა გამომცემ-

ლობას დაურღვევია, რაკი კუთვნილი არ მოუცია, და თქვენ ამის შემდეგ სრული უფლება გაქვთ, თქვენი ნაწერების გამომცემის უფლება, ვისაც ისურვებთ, იმას გადასცეთ.

— მერე ამხანაგობა კარგად მოიქცა, რომ პირობა დაარღვია და კუთვნილი არ მომცა?

— რა თქმა უნდა, არა! არასაკადრისად, უპატიოსნოდ მოიქცა, პირობის გატეხა როგორ შეიძლება!

— მერე თქვენ მირჩევთ, მეც არაკეთილსინდისიერად, უპატიოსნოდ მოვიქცე



და პირი გავტეხო?

იოსებ იმედაშვილი შეცბა, დაიბნა. იგი წერს:

— ისეთი კილოთი მითხრა ეს და ისე შემომაჩერდა ილია, გავშრი, გავშტერდი. ეს რა შევაკადრე, რატომ მიწა არ გამისკდება-მეთქი.



კენკა

ხომ იცი, რა არის ანდაზა? მოკლედ და გონებაში-ვილურად ნათქვამი რაიმე სიბრძნე.

ახლა, მოდი, წაიკითხე ეს ქართული ხალხური ანდაზები. ჯერ-ერთი, დაუკვირდი და შენით მიხვდი, რა სიბრძნეა მათში დაფარული; მერე უფროსებს დაეკითხე და შეამოწმებინე, სწორი ხარ თუ არა.

უფროსები მოიხმარე ჩვენი მეორე დავალების შესრულებისასაც: მოიფიქრე ამ ანდაზების შესატყვისი სხვა რომელიმე ქართული ანდაზა. შენს დასახმარებლად სულ ქვემოთ ვებეჭადეთ შესატყვისი ანდაზების საწყის სიტყვებს (ოღონდ თანამიმდევრობა არ არის დაცული). და ამთავრე ისინი და მიუსადაგე თითოეული მათგანი შესაფერ ანდაზას.

ბრძენი სიტყვა ითქვა და, ბრძენო ყურო, სადა ხარო?

ტოლმა ტოლს რითი აჯობა და, ადრე ადგომითაო.

ტკაცბტკუცი ბევრია, ნაკვერჩხალი კი არა ჩანს.

პურადი კაცის სასწორი მუდამ წონაში მეტია.

მეზობელი რომ მარილიანი გყავდეს, შენ მარილს უნდა უნაყავდეთ.

ზედი ზელსა.....; როგორც ქუხს.....; კარგ მოქმელს.....; კაი კაცის პურმარილი.....; ადრე ამდგარხა.....

ჭიჭი

საბარძივლოს ალკ მკ-ისა და ვ. ო. ლპიძის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რმკპზბლიკურს საბჭოს შურნალი შიგროსკლასკლათაი-ვის.

გამლის 1904 წლიდან. საქ. კ. ცკ-ის გამომცემლობა.

მოვარი რედაქტორი
რმკპზბ ონანოვიძე

სარედაქციო კოლეგია: მუხარე ამო-კამი, მანანა მთიანი, ლეონი ბაგვა, მხილ მრეხვერიძე, მერი ლპიძე-პიძი, სოლომონ მთიანეთი, ლეონი მთიანი, ნუკა ლოსკერიძე, მამალი მრეხვერიძე, ჯორჯა ნაღო-რამი, თინათინა ნაღოვი (პ/მე, შვეიცარია), ბივი მთიანე, ბივი ბიბიანიძე.

სამხატვრო რედაქტორი
ბიორგი რიგოვიძე

ტექნიკური რედაქტორი
ნელი შარაძე

შპსმართა: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის-თბილისი, ღვინის 14. ტელ.: ში. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მე, შვეიცარია 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის-93-98-18; განყოფილება 93-98-19.

გადაცა ახაყობად 19.01.89 წ., ხელმო-წერილი დასაბჭოდ 25.03.89. წ. ქა-ლდის ზომა 60x90¹/₂, ფბ. ნაბ. ფურც. 25. ტირაჟი 168.000, შეკვეთა № 145

ულავ ნახტი
ზაშრ ღმისბიძა

«Дилла» («Утро») — ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинской Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии. Главный редактор Реназ Инаншвили (тел. 93-41-30). Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 145

ურა სახელთუხუცივილი

636/56

ინდეტი 76055

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული-თავისუფალი
მატიკარი ბიბლიოთეკის
კოლექცია

მატიკარი ბიბლიოთეკის

ბავშვებო, თქვენ ხომ ზშირად კითხულობთ ჩვენს შვენიერ ზღაპრებს. ჰოდა, ვისაც ბევრი ზღაპარი აქვს წაკითხული, ადვილად ამოხსნის ამ კროსვორდ-თავსატებს.

გამოიცანით, რომელი ქართული ხალხური ზღაპრებიდან არის ქვემოთ მოუვანილი ნაწუვეტები, მერ ზღაპრების სათაურები თანამიმდევრულად ჩასვით ჭაჭვი რგოლებში (თითო რგოლში თითო ასო). თუ ზღაპრების დასახელება არ შეგეშლებათ, ჭაჭვი არსად გაწუდება და ქართველების გმირთაგამირი ამირანი დაუბრკოლებლევ ავა უამარ ქალის კოშკში.

- 1... აილო დევა ქვა, მოუჭირა ხელი და სულ დაფშენა, მაგრამ წვენი ვერ გამოადინა.
- 2... — რა ვნახე, დიდებულო ხელშიწიფვე და, ვითომ ბაღდაღში ვიყავი, ერთი ფეხი ბაღდაღის თავს შეღვა, მეორე — ბაღდაღის ბოლოს, აქეთ-იქიდან შუე და მთვარე მესხდნენ და შუექურვარს ვვლავი ხელ-პირს მახანინებდა.
- 3... — ნუ გეწმინია, მე შენ აღარ გერჩი. ჩემს სიცოცხლეში ასეთი ხმა არ მსმენია და არც ასე ძლიერად დავმტკბარვარ. აჰა, წაიღე ეს ვაშლი და ეწვი გულის საწაღელს.
- 4... — თვორმა წყალმა რომ ჩამოიაროს — არაფერი, ვირისფერმა რომ ჩამოიაროს, — ისევ არაფერი, ხოლო, როცა კვითელი წყალი ჩამოივლის, იმაში დაისვლევ თმებით.



- 5... გადაავლო ბიჭმა სავარცხელი და უცბად ისეთი ხშირი ტყე აიყარა, რომ შიგ თაგვიც ვერ გაძვებოდა.
- 6... — შედი მაძინემის საწოლ ოთახში და ეს ნემსები ხალიჩას ქვეშიდან გაუუარეო.
- 7... დავრიჭა დათემა კბილები და ენაც გამოყო. ენა სისხლიანი ჰქონდა და კბილებში ჩინია უჩანდა.
- 8... განხრიკა თუ არა ნაღვერდალი, ფილთაქვა გასკდა და ნაცარი თვალეგში შეეუარა.
- 9... ვქმე და ვქმე ნაცარი, ვიპოვე ფერვის მარცვალი.